


ენა, მამული, სარწმუნოება

გარეჯი

გაზეთი „გარეჯის მაცნე“ ღამთაობა №2, მარტი, 2012 წ.



გარეჯის სამონასტრო კომპლექსმა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XI-XIII საუკუნეებში. დაარსდა ახალი მონასტრები – უდაბნო, ბერთუბანი და ჩიჩხიტური.

სულის ტკივილი

ბერთუბანი, უდაბნო, ჩიხსიტური

6 მაისიდან დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში, უდაბნოს მონასტერთან, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დადგნენ და მონასტერში შესვლაზე მკველს უარი განუცხადეს.

21 მაისს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში დიდბალი მკველი და სასულიერო პირები შეიკრიბნენ. მღვდელმთავრებს შორის იყვნენ: აზმა ალავერდელი, მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრეა (გვაზაგა), ცაგერი-ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), სტეფანწმინდა-ხევის ეპისკოპოსი ივგულიელი (ტაბატაძე), საგარეჯო-ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე), ბოლნევი ეპისკოპოსი ეჭეთიმე (დუგაბა) და თეთრიწყარო-გაკდაბნის ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი). დღის 12 საათზე ისინი უდაბნოს მონასტრის ადრეობის ტაძარში ავიდნენ. პატარკლისი შეიღმა მღვდელმთავარმა და ასამდე მღვდელმსახურმა გადაიხადეს, სწორედ იქ სადაც 6000 გარეჯელი ბერი ეწამა. მათთან ერთად ათასზე მეტი მოწმუნე ღოცულობდა.

21 მაისსვე შედგა საქართველოსა და აზერბაიჯანის მესაზღვრეების ხელშეწყობის შეხვედრა. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 10 დღის განმავლობაში ყველაფერი გაიკრევა და ამ პერიოდში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები მთლიანად დატოვებენ უდაბნოს მონასტერს და მის ტერიტორიაზე აღარ გამოჩნდებიან. დაველოდოთ, რა შედეგები მოჰყვება ამ შეთანხმებას.



• • • • • ეურნალის გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

• • • • • რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო

• • • • • დ. აღმაშენებლის ქ. № 15

• • • • • ეურნალი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“

• • • • • დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

• • • • • ტელეფონები: 24-32-07 599 502 842

• • • • • 577 951 488

• • • • • ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

რედაქტორი:

თინათინ ილაური

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი **ილია II:**



ყოველ ადამიანს და ყოველ ერს, ყველას თავისი ჯვარი აქვს, თავისი გასაჭირი და განსაცდელი – ღვთისგან ბოძებული.

საქართველოს ჯვარი მუდამ მძიმე იყო. დღესაც ასეა, როცა დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა ჩვენი ქვეყნისა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მალე დადგება დღე, როცა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კვლავ დაუბრუნდება საქართველოს, რადგან ეს საჭიროა არა მარტო ქართველებისთვის, არამედ თავად აფხაზეთისა და ოსებისათვის, მათი ეთნიკური გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. ეს იქნება ნება ღვთისა და ეს იქნება სათნო ღვთისათვის....

უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ახლოსაა ჩვენთან, ყოველადწმინდა ღვთისმშობელმა გადაგაფარა თავისი კალთა და ვერავითარი მტერი ვერაფერს დააკლებს საქართველოს.

მარტი, 2010 წელი

„როგორც უფალი, სამშობლო – ერთია ქვეყანაზედა.“

ჩვენი ქვეყანა დღეს განსაცდელშია, გაჭირვების უამრავი უდგას, რადგან დარღვეულია მისი ტერიტორიული მთლიანობა. ზოგიერთი ამბობს, რომ ჩვენ დაგვარგეთ ჩვენი ძირძველი კუთხეები... მიმაჩნია, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენი ძირძველი კუთხეები ჩვენ დაგვარგეთ... მიმაჩნია, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მიწები ჩვენთვის დაკარგულია! ჩვენ უნდა მიგვაჩნდეს, რომ დროებით ვერ ვაკონტროლებთ მათ, მაგრამ გეწამს, რომ დიდი ხანი გაივლის მოწყალებას და ეს ტერიტორიები კვლავ დაუბრუნდება საქართველოს!

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო არ დაეცემა, არამედ გადარჩება და გაბრწყინდება!

ივლისი, 2009 წელი

საიდან მოვლივართ?

საქართველო – არქეოლოგიური გათხრები მსოფლიო ისტორიას თვლავიკა აყენებს

... როგორც ცნობილია, მსოფლიოში პირველი ადამიანის ნაკვალევი, აფრიკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს გერმანელებმა. მსოფლიოს არქეოლოგები აქამდე მიიხრევიდნენ, რომ აფრიკიდან პირველყოფილი ადამიანი ინდოეთის ტერიტორიაზე გადავიდა, საიდანაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამრავლდა. დმანისში აღმოჩენილმა თავის ქალამ კი დაამტკიცა, რომ ადამიანი აფრიკიდან არა ინდოეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ საქართველოში დასახლებულა.

ადამიანის უძველესი თავის ქალის გარდა დმანისში ნაპოვნია ფლორისა და ფაუნის უნიკალური ექსპონატები: სპილოს კბილები, ჟირაფის ძვლები, მარტორქის ჩონჩხის ნარჩენები, გიგანტური სირაქლემა და ა.შ., რომელთა უმრავლესობა ამჟამად გადაშენებულია.

როგორც არქეოლოგები ამტკიცებენ, ამ აღმოჩენამ ქართველებს შესაძლებლობა მოგვცა დაუუმტკიცოთ მსოფლიოს, რომ პირველყოფილი ადამიანი არა აზიის ტერიტორიაზე, არამედ საქართველოში ბინადრობდა.

მიწის ფენის ქვეშ არის გულკანური წარმონაქმნების ფენა, ხოლო უფრო ქვემოთ, კვლავ მიწა და თიხა, აქედან გამომდინარე, არქეოლოგები თეორიულად უშვებენ ვერსიას, რომ ამ ქანების შესწავლის შემდეგ შესაძლებელია აღმოჩნდეს ადამიანის ჩონჩხის ნაწილი, რომელთა გამოკვლევით შეგვეძლება დავამტკიცოთ, რომ პირველყოფილი ადამიანი დმანისის ნაქალაქარზე ცხოვრობდა. მათივე განმარტებით, საქართველო არქეოლოგიური მასალებით ძალზე უმნიშვნელოაა შესწავლილი და აქედან მიღებულმა შედეგებმა შეიძლება ბევრი მსოფლიო სენსაცია გამოიწვიოს.

დმანისის არქეოლოგიური გათხრების ქრონოლოგია ასეთია:

1983 წელი – პროფესორმა აბესალომ ვეკუამ სხვა




ნამარხებთან ერთად აღმოაჩინა მარტორქის კბილი, რომლის საშუალებითაც განისაზღვრა ამ შრეების გეოლოგიური ასაკი – 1,5-2 მილიონი წელი.

- 1984 წელი – ნაპოვნია პრიმიტიული ქვის იარაღები;
- 1991 წელი – ადამიანის ქვედა ყბა;
- 1997 წელი – ტერფის მესამე ძვალი;
- 1999 წელი, 31 მაისი – იპოვეს ზრდასრული მამაკაცის თავის ქალა.
- 1999 წელი, 22 ივლისი – აღმოაჩინეს ახალგაზრდა ქალის თავის ქალა;

2012 წელი, – აღმოაჩინეს 45-50 წლის ქალის თავის ქალა. მრავალი საზღვარგარეთული გამოცემა, მათ შორის „ვაშინგტონ პოსტი“, „ნიუ იორკ თაიმსი“, „ნეიშენელ ჯეოგრაფიკი“, „საიენსი“, „ფიგარო“, „ლიბერასიონი“ შემდეგი

სენსაციური სათაურებით გამოეხმაურა ამ აღმოჩენას: „საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოა“, „ეს ნაპოვნი აიძულებს მსოფლიოს ყველა მუხეუმს განაახლონ ადამიანის ევოლუციის ექსპოზიციები“, „ორმა უბრალო თავის ქალამ, რომელთა ღირებულება ოქროს ზოდებზე მეტია, მსოფლიოს ყველა პრეისტორიკოსი თავდაყირა დააყენა“. დმანისის ახალი მონაცემებით დასტურდება, რომ ადამიანის აფრიკის გარეთ გავრცელება მოხდა მინიმუმ 1,7-1,8 მილიონი წლის წინათ. ადრეული ჰომინიდების მიერ დმანისის მიდამოების საცხოვრებლად ათვისების დროს აქ მრავალფეროვანი ლანდშაფტი იყო. დმანისში აღმოჩენილი ძვლების მიხედვით დადასტურებულია ისიც, რომ აქ ბინადრობდნენ ხმალებილი ვეფხვები, აფორები, ჟირაფები, მარტორქები, სპილოები, გიგანტური ზომის სირაქლეები, ირმები და სხვა ცხოველები.



აი. ვინ ვართ ქართველები ქართული ერის ისტორიული ფუნქცია

ქართველი იკონებდა ხალიბურ ხმალს, რომ მას მეტალურგიით და მისი ნიჭიერების ფანტაზიით უნდა ეჯობნა მტრისთვის, რომელიც შემდეგ ფოლადის წარმოების საიდუმლო კოდით ჩაშიფრავდა, რათა მტერს არ გამოეცნო მისი წრთობის ნიშნები და არ ეჯობნა მისთვის. ამგვარი ხასიათით ხდებოდა იმ უზადო სიმღერების შექმნა და ვერც ერთი სხვა ერი ვერ დაასახელებს ისეთ მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც სამი, ოთხი ათასი წლით თარიღდებოდეს. ძლიერი სახელმწიფო, იყო განვითარებული სავაჭრო გზები, აღმაშენებელი ეროვნობით აკავშირებდა მსოფლიო საქარაგნო გზებს. ასეთი სახელმწიფო კი მუდმივად იყო დარტყმის ქვეშ მოქცეული და მას მუდმივად უნდა ჰყოლოდა რეგულარული გაწვრთნილი ჯარი. ყოველივე ეს ანიჭებდა ფუნქციას, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მისია ეკისრებოდა, იქმნებოდა მაღალი გენეტიკური კოდის ადამიანი და მსოფლიოს მონათა ბაზარზე ყველაზე ძვირად იყიდებოდა კავკასიელი ადამიანი. ყველა ეს მოვლენა ბუნებრივად ანიჭებდა ამ თვისებებს და ფუნქციებს ერთმანეთს და ისინი ჰგავდნენ იმ მექანიზმებს, რომელთა თითოეული ჭანჭიკის გამოცვლა იწვევს ამ ორგანიზმის რღვევას. მოკლე, სახელმწიფო იყო თავიუფალი, რომელსაც არაფერი არ შეიძლებოდა გამოეცვლიდა. არსებობდა ასეთი პრინციპი, ადამიანი აძლევდა ერს ყველაფერს, რაც კი ებადა და შემდეგ იღებდა მისგან ასევე ყოველივეს. შენების პროცესი იწვევდა ადამიანში ვნებების სიმძაფრეს და იქმნებოდა უძვირფასესი ცივილიზებული გრძნობა – პატრიოტიზმი. იზრდებოდა სულგრძელობა, თავდადება, სიყვარული, სიამაღლე, სამართლიანობა, ზომიერება და მიიწვევდა ადამიანი ციური თვალშეუვლები სიმაღლეებისკენ, რაც იყო ერის ისტორიული მისიის არსებობის და თვითგანახლების რეხერგი. ჩვენთვის ისიც ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს სისხლი (ღვინო,ვაზი) და ხორცი (პური) საქართველომ მისცა სამყაროს, საქართველოშია ამ კულტურების უპირველესი ნიადაგი და ამ ბუნებრივი კლიმატური პირობების შეჯერებით ხდება ამ კულტურათა ნიადაგის მიღება.

მაგრამ, როგორც ყველაფერში, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფიცი საქართველოს ჰყოლია ვასალები, თამარს უკრეფია, სულ ოქროს ვაშლები, ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ, სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ, ჩაშლილა ხიდი და ჯვარი ჩარღვეულა, იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა“ – დიახ, ამბობენ, არაფერია ამ მზისქვეშეთში მარადიული და ისტორიული მისიის ფუნქცია დამცრობილა. ჯერ ძველ სპარსეთთან ბრძოლაში დაქანცულა ვახტანგ გორგასალი, შემდეგ არაბებს რამდენიმე საუკუნე

გადაუბიათ ამიერკავკასიაში და ბოლოს დამდგარა საქართველოში დიდი თურქობა, დიდი დამე, რომელსაც მესიის მახვილით, დავით აღმაშენებლის ჭკუითა და სიმამაცით მოსპობენ და მას შემდეგ ას წელზე მეტ ხანს იწყება საქართველოს მზის აღმოსცისკრება, მაგრამ თამარის მეფობის შემდეგ საქართველოს დაისი დაწყებული და მსოფლიოს ჭიანჭველასავით, სტიქიურ უბედურებასავით მოსდებია მონღოლი რსა. მათაც ამოუწურავთ თავისი თავი სამხედრო ძლიერებაში და ახლა მათი – მონღოლების დამმარცხებლები სლაგ ფეოდალთა სახელმწიფოები განფენილან პორიზონტალურ სივრცეში და საქართველოსთვის ტრამალის ხალხებთან წინამბრძოლის ფუნქცია ჩამოურთმევიათ და ისეთი ძლიერების ჯამის მქონე ქვეყნისათვის, როგორც ბიზანტია, რომი, ფინიკია და სხვები ყოფილან და დღეს პოლიტიკურ რუკაზე აღარ არსებობს. კარლოს დიდმა რომი ჯერ ორად გაყო, აღმოსავლეთში რელიგიური ხელმძღვანელობა დასვა მმართველად – რომის პაპი, დასავლეთში საერო პირი, ჯერ გათიშეს, შემდეგ დაშალეს და დასავლური ნაწილი საერთოდ მოსპეს, შემდეგ ინკვიზიციის ჭია ჭამდა კათოლიკურ ქრისტიანობას. ევროპის ამ ქვეყნების შესახებ იმტომ ვსაუბრობთ, რომ ერთმორწმუნე სამყაროსთან კომუნიკაციები დაირღვა და საქართველოს იდეოლოგიური ფუნქცია შემცირდა. ციტადელი ირღვევა, პატარა ციხე-სიმაგრეები მიჰყვებიან მის კვალს. ცოტა ხანში ზღვაოსნობის განვითარებამ, აღმოსავლეთთან სავაჭრო გზები წყლებზე გადაიტანა და ამით ეკონომიკური ფუნქციაც მოიშალა. ერთ მშვენიერ დღეს გაახილდა ქართველთა კაცმა თვალი და აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქციები გაუქმდა და მსოფლიოს ისტორიული მისია აღარ გაგვანჩია. ერთ დროს უდიდესი საქმეების მკეთებელი, აგრესორი სახელმწიფოების წვრილმანი კინკლაობის საბაბად და ასპარეზად ქცეულა. ბოლოს თეთრ დათვს უკისრია მისი პატრონობა, მაგრამ ისე იხუტებდა გულზე, რომ რამდენჯერმე ლამის მოახრჩო. რუსეთთან შეერთების ორას წელს, თამამად შეიძლება ეწოდოს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი, რადგან არავის ისე მძაფრად გარეშე მტერთაგან კავკასიისა და საქართველოს დასაუფლებლად არ უბრძოლია, როგორც რუსეთს. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას ამ ორასი წლის მანძილზე, საკმაოდ საღად ესმოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ისტორიული მისიიდან წარმომავლობის აუცილე-

ბლობა, მაგრამ ამ წყლულის მოსარჩენად, ქმედითი ხაზები, ანუ ის უპიარი მაღამო არ ჩანდა.

ამ მასშტაბებში ეს იდეა პირველად ფარნავაზმა, მირიანმა, ბაკურმა და ვახტანგ გორგასანმა განახორციელეს შუა საუკუნეების დაწყებამდე. ტრამალის და სტეპის ხალხებთან წინამბრძოლის ფუნქცია რომ გაუქმდა, მაშინ დავით აღმაშენებელმა და მისმა პოლიტიკოსებმა წამოიწყეს კულტურულ-ხელმძღვანელი როლის ფუნქცია და ამ მიზნის განხორციელების მტკიცე საფუძველია დავითის პოლიტიკა ამიერკავკასიაში, კერძოდ სომხეთის სახელმწიფოსთვის ბრძოლა და მისი შექმნა. ბიზანტიის სახელმწიფოს ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში შეერყა საძირკველი და მეფე-ქალს შორეული, ერთმორწმუნე სახელმწიფოს მეშვეობით უნდოდა ეს სისუსტე იმით შეეგვსო, რომ მართლმადიდებლურ საქართველოს, მაჰმადიანურ სახელმწიფოში წესრიგის დამყარებაზე ჰქონოდა პრეტენზია. მაგრამ სამყაროში ამითარდა საერთაშორისო სამართლის ისეთი გამქედავი, როგორც თემურ ლენგი იყო და ყველაფერი მიწასთან გაასწორა; იგი იყო ყველაზე დიდი აგრესორი, რომელიც კი საქართველოს არსებობის მანძილზე ჰყოლია, თვით სპარსეთის შაჰ-აბას I-ზე მეტიც. ერეკლე II-ის პოლიტიკა თამარის პოლიტიკის გაგრძელება და განმეორება იყო – საყრდენით ჩრდილოეთში, მახვილით – სამხრეთში, მაგრამ ერეკლეს და თამარის სახელმწიფო ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც გორიზი ფეოდალის და მწირი გლეხის კარმიდამო. ქართველებმა კი რუსეთთან მიხალღება ისე მოახდინეს, რომ მფარველობა კი არა, ვასალობა უბოძეს. თუმცა ისტორიულ დოკუმენტებში უფლებების გაფორმება, მაინცდამაინც დარღვეული არ იყო. სიცოცხლისა და კულტურის შენარჩუნებაც ფუნქციაა, მაგრამ მსოფლიო საჭიროებისათვის უკვე უფარგისი. ბევრი იფიქრებს, ეს ღონის მოკრების ხანაა, რათა ახალი ნახტომი გააკეთოს შესვენებაგამოცხადებულმა და კამარაშეკრულმა, მაგრამ რეველუციურ რუსეთს ახალი ავი ზრახვა გასჩენია და უფიქრია ხალხთა ხსოვნიდან ღმერთი გამოეძევიან და ცხოვრება, სიცოცხლის შენარჩუნების პროცესად ქცეულა, ერთ ქართველს მეორე ქართველთან აღარაფერი აღარ ჰქონია ზიარი, მიზანი, ამოცანა და საბრძოლი, რამაც შესაბამისი მანკიერი ხნობაც ჩამოაყალიბა და დღემდე ისე მიმდი-

ქართველი – გეორგიანელი

ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. არ არის შემთხვევითი, საქართველოში ორი მოციქული რომ იმყოფებოდა – ანდრია და სვიმონ კანანელი – პირველი და უკანასკნელი მოციქულები. ანდრია იყო პირველწოდებული, სვიმონ კანანელი კი ყველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ ალფას და ომეგას, ე.ი. დასაწყისსა და დასასრულს. რა როლი აქვთ ქართველური მოდემის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?

...ჯერ კიდევ ძველებრძეები „გეორგოსებს“ უწოდებდნენ ქართველებს იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო ყველაზე მეტად განვითარებული ჩვენს ქვეყანაში. „გეორგოს“ ნიშნავს მიწის დამუშავებულს და ამავე დროს გეორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების დვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული დვთაება – თეთრი გეორგი. ქრისტიანული წმინდა გეორგი ისტორიულად არ-

სებული პიროვნებაა, ამავე დროს არის მიწიერი სახე იმავე სულიერი არსებისა, მიქაელ მთავარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველის. ეს სახე და კულტი ერთ-ერთი ყველაზე მახლობელია ქართული მოდემისათვის. საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გეორგიანობის სახე. ქრისტიანობა თავისი წმინდა სახით არსებობდა სამღვდლოებისათვის, ფეოდალური კლასისათვის, სამეფო კარისათვის, მაგრამ ხალხური ქრისტიანობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, გეორგიანობასთან არის შერწყმული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გეორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა. წმინდა გეორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაბადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს. ღმერთი მას წარმოედგინა წმინდა გეორგის მეტროპოლიტის სახეში, დრაკონის დამთრგუნველ სახეში. ე.ი. მიქაელური ასპექტი ქრისტიანობისა იყო ყველაზე მეტად მახლობელი საქართველოსათვის. საქართველოს სახელწოდებაც დაუკავშირდა გეორგის და იგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ დვთის სხვადასხვა სახეები და ასპექტები ცნობილია

დვთისმეტყველებაში. აპოკალიპსშიც კი მესია, ღმერთი, ქრისტე გამოსახულია როგორც თეთრტაიჭოსანი ზეციური მხედარი (გამოცხ, 11-15). ის ტრადიციული სახეები ქრისტესი, რომლებიც ჩვენ ვიცით, არ ამოწურავენ მის არსს. არის აგრეთვე სხვა სახე – მეტროპოლი, დრაკონის დამთრგუნველი, როგორც ის არის მოცემული აპოკალიპსში. და ეს არის სწორედ წმინდა გეორგის წინასახე და ეს სახე იყო მახლობელი ყველაზე მეტად ქართველებისათვის. სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ წმინდა გეორგის კულტი საქართველოში უპრეცედენტო მოვლენაა. ჩვენ გვაქვს შემთხვევები სამების, ქრისტეს დღესასწაულების, აღდგომის დღესასწაულების „შთანთქმისა“ წმინდა გეორგის დღესასწაულის მიერ, მათ სახელობაზე აგებული ტაძრები იდენტიფიცირებულია წმინდა გეორგისთან. ე.ი. წმინდა გეორგი იდენტიფიცირებულია ღმერთთან. ეს არის სახე დვთისა და არა მხოლოდ კონკრეტული წმინდანი.

მეორე ასპექტი ქრისტიანული საქართველოს სულიერი მისიისა დაკავშირებულია დვთისმშობლის წილხვდომილობასთან. რატომ არის საქართველო დვთისმშობლის წილხვედრი?

იმის გამო, რომ იაფეტური მოდემის ძირითადი დვთაება იყო დედა-ქალღმერთი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით გვევლინებოდა ამ მოდემის სხვადასხვა განშტოებებში, ამიტომაც მას ჰქვია „მირიონიმი“, ე.ი. მირიად-სახელიანი. ეს იყო ის ცენტრალური დედა-ქალღმერთი, რომელიც დახვდათ ბერძენ კოლონისტებს ფაზისში. ფაზისის შესასვლელთან იღვა მისი დიდი ქანდაკება, რომელიც ცნობილია ჩვენში დედა უფლის, ადგილის დედის სახით და რომელიც პროტოქართველურ ქვეყნებში გვევლინებოდა როგორც დემეტრა, როგორც ჰერა. არტემიდეს კულტიც მომდინარეობს ამ ქალღმერთიდან, პარალელური კულტი არის სვანეთში – დაღის კულტის სახით. როგორც მოგახსენებთ, მცირეაზიური ქალღმერთების კულტიც დაკავშირებულია ამ უძველეს იაფეტურ დედა-ღმერთთან, ხოლო დვთისმშობელი ქრისტიანული ეპოქის არის იგივე ქალღმერთის ქრისტიანული ასპექტ-სახე, რომელიც ყველაზე მახლობელი იყო ამ მოდემასთან და აქ არის სწორედ მისტიკური წინასწარგანსაზღვრულობა. როდესაც წილი ჰყარეს მოციქულებმა იმის გასარკვევად, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა, საქართველო წილად ხვდა დვთისმშობელს. წილად ხვდა იმის გამო, რომ ტრადიციულად ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო დვთისმშობლის მისიასთან.

აი, ვინ ვართ ქართველები

ქართველი ერის ისტორიული ფუნქცია

დასასრული

ნარობს, ვინც ბევრს მოიხვეჭს, მეტ ქონებას შეიძენს, ისაა ყველაზე ძლიერი და თან ამ ძლიერებას სახელმწიფოს ბედნიერებისათვის კი არ იყენებს, არამედ ქართველსავე დასაჩაგრად.

სხვა რა გზაა, ერთმორწმუნე რუსეთის საშუალებით ევროპასთან ახლოს მივვით. შეჩერდა უცხოტომელთა თავდასხმები, ლეკიანობა, რომელიც ერთ-ერთი მძიმე პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში. ერთი მხრივ, მოსახლეობა განთავისუფლდა ერთგვარი ფეოდალური გადასახადებისგან და გამოცხადდა „დიდი შესვენება“, იმრავლა ქართულმა თესვამ და ჯიშმა, მაგრამ, მეორე მხრივ, ერი დაემსგავსა ნახირს, რომელსაც ყოველდღე სჭირდება საძოვარი და სხვა ამოცანა მის შეგნებაში არ არსებობდა. საბოლოოდ დაიკარგა ის ფუნქცია, რომელიც ერის ყოფაში ასე თუ ისე მიმჭრალი ჩანდა. ჩამოყალიბდა ახალი ზნეობრივი ღირებულებები: კოსმოპოლიტიზმი, ინტერნაციონალიზმი, გლობალიზმი და სხვა ასეთი. დაკვარებული ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული უპირფასესი ღირსე-

ბები: ინდივიდუალიზმი, მაძიებლობა, და იმ მახლობელი კულტურების და ტრადიციების აღორძინება, რომელსაც ეგზომ დიდი ყურადღებით ფილტრავდა წარმართულ მისტიკებში უძველესი ქურუმები და აეროპაგიული საბჭოები, რომელიც შესამებული უნდა ყოფილიყო ჩვენს ტრადიციასთან, გეოპოლიტიკურ ზონასთან, ფაუნასთან, რელიგიასთან, ენასთან და სხვა.

იშვიათია მსოფლიოში მეორე ისეთი პატარა ქვეყანა, რომელსაც ჰქონდეს შორეული ისტორიის ისეთი სიმდიდრე, როგორც საქართველოს, მაგრამ დღეს ყველაფერი ეკლექტურად, განურჩევლად შემოაქვთ და დებენ ქართულ ხასიათში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცუდია, მაგრამ, როგორც ყველა ტანსაცმელი უცხოტომელისათვის მოხდენილი არ არის, ასევეა სხვა კულტურა და ადათ-წესი. ამის მეორე ჭკნება მარად ყვავილობანი და თვითგანახლებადი ყვავილობა, რომლის ძალით ეკარგება ქვეყანა – სიკაცსავე, სიხალისე დაუნდებია, რაინდობა ჩლუნგდება და იწყება სიცოცხლის უმთავრესი ძარღვის იმპულსების მინავლება...

ჩვენ ასე გვაფასებდნენ

„მე ბევრი ხალხი მინახავს, მაგრამ სილამაზისა და კეთილშობილების ეტალონად მხოლოდ ერთ ერს მივიჩნევ. ეს ერი მე ვნახე კავკასიაში – ქართველები“

პნუტ კამსუნო

„მე თითქმის ყველაფერი ვნახე თბილისში – ქართულ სამოთხეში და მთელი ცხოვრების მანძილზე ისე ნაყოფიერად არსად მიმუშავია, როგორც თბილისში.“

ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუთ ზეცა იერიშით აიღონ“.

*ალექსანდრე დიუმა (მამა)
ფრანგი მწერალი (1802-1870)*

ქართველები უდავოდ ერთ-ერთი ულამაზესი ხალხია დედამიწის ზურგზე. მაღალ, ჯანიან მამაკაცებსა და ტანწერწერა მოქნილ, დიდრონთვლებიან ქალიშვილებს აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხედებოთ. სილამაზე, მომხიბვლელობა, ღომეგულობა, გონიერება და მაღალი სული თითოეულ მათგანს

ქართველები – სილამაზისა და კეთილშობილების ეტალონი

თითქოს თვალეშივე აქვს აღბეჭდილი. როდესაც სილამაზეზე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, კულტურის უმაღლეს საფეხურზე მდგომ ხალხს ვგულისხმობთ...

ქართველები დარდიმანდი და გულდია ხალხია. თავიანთი ადგილმამულის მოსაველელად დიდი ჯაფა ადგებათ, მაგრამ ხანდახან შრომას არაფრად დაგიდევენ. ალბათ ამიტომაც, ქვეყნის საჯარო საქმეები ძირითადად სომეხთა ხელში რომ არის ჩავარდნილი.

სამაგიეროდ, ქართველი მამაკაცები მთელ მსოფლიოში უპატიოსნესი და უმამაცესნი არიან: კავკასიელ ყველა ხალხივით სტუმართმოყვარენი, ერთგულნი, თავიანთი მერნებით ფიცხები და მკვირცხლები, ომში გულადები და მასპინძლობისას გულუხვები...

უძველესი დროიდან საქვეყნოა ცნობილი ქართველ მამაკაცთა ვაჟაკობა და ალაღმართლობა...

მეგრელები უძველეს კოლხთა ნაშთებში არიან, რომელთა მიწაზე მოსულმა იახონმა თანამებრძოლებთან ერთად ხშირფოთლოვანი ტყეების ჩრდილს შეაფარა თავი.

სიმშვენიერით, მიმზიდველობით, ტანკენარობით, ფაფუკი თმით, ცეცხლოვანი თვალებითა და კეთილშობილური გამომეტყველებით განსაკუთრებით გამოირჩევიან გურული ქალები...

იგივე შეიძლება ითქვას იმერლებზეც. სვანები, რომლებიც ენით, ადათ-წესებითა და ზნე-ჩვეულებებით სხვა ქართველი ტომებისაგან რამდენადმე განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, უხსოვარი დროიდან ბევრი რამ საერთო აქვთ შემორჩენილი, რაც ჩვენთვის ძალზე საინტერესოა, რადგან ყოველგვარ უცხო ზეგავლენას და ამჟამად ერთადერთი არიან იბერიელ ტომთა შორის, ვინც თავისთავადობა და თვითმყოფადობა საუკუნეებში გამოატარა და თითქმის უცვლელად შემონახა დღემდე...

„ქართველი ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულიად არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“.

*კარლ რიხტერი,
გერმანელი გეოგრაფი*

თანვისუფლება

თანისუფლება ქართველის ილუზიული სულის თვისებაა

საკუთარ თავზე ბატონობა და მისი დამორჩილება სხვაგვარად გამორიცხებულია, თუ არ ხარ თავისუფალი და თუ შენ არ ხარ თავისუფალი, მაშინ შენ სხვას მორჩილება და ეს სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს კანონის გარდა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს უფლის ნებისგან.

ქსენოფონტე აღწერს: ბერძენთა ლაშქარი ძარცვა-გლეჯით მიიწვედა წინ. მიუხედავად ადგილებში თავშეფარებული „ტაოხელები“ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავენ მტრის კარგად გაწვრთნილ მეომრებს. ერთ-ერთ მთაზე გაღავანშემოვლებული ადგილი იყო, რომელიც ომიანობის დროს ადამიანების და საქონლის თავშესაფარი ყოფილა და დღეს საომარ სიმაგრედ გადაქცეული მოულოდნელობას სთავაზობდა ბერძენებს. მიუხედავად იმისა, რომ მთიდან დაკორებული ლოდებით არაერთი ბერძენი მეომარი დაიღუპა, სიმაგრე აღებული იქნა.

„მაშინ, – ამბობს ქსენოფონტე, – ჩვენ წინ გადაიშალა საშინელი სანახაობა, ქალები ისროდნენ ქვემოთ თავის ბავშვებს და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ კლდიდან უფსკრულში. მამაკაცებიც ასევე იქცვიოდნენ და ღიხ-

არგოსმა, ბერძენთა ჯარის ერთ-ერთმა სარდალმა ენოს სტიმფალიელმა დაინახა ერთი ლამაზ ტანსაცმელში ჩაცმული ტაოხი ქალი, რომელიც მობოდა და ჩანს, აგრეთვე კლდიდან გადავარდნას ღამობდა, მაშინ სტაცა მას ხელი, რათა ხელი შეეშალა მისთვის გადავარდნილიყო, მაგრამ ტაოხმა ქალმა ისიც თან გადაიტანა და ორივენი გადაეშენენ კლდიდან და დაიღუპნენ. აქ ძალიან ცოტა ხალხი იქნა ტყვედ ხელთგდებული, სამაგიეროდ ბევრი საქონელი, პირუტყვი, სახედრები და ცხვრები ვივადეთ ხელთ“.

თავისუფლება სულის იდუმალი თვისებაა და დაბად ორგანიზმებშიც, ცხოველებშიც კოდირებულია, როგორც სასიცოცხლო აუცილებლობა გარემო პირობების არსებობაში. თავისუფლების სრული სისხვასით განცდა უნივერსალური და მარტივი მოვლენაა. უნივერსალური იმდენად, რამდენადაც ეს ეხილება ბევრ თვისებას და მარტივად, რადგან ყოველ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია მისდამი სწრაფვა. მას სჭირდება დვითობობებული ფორმა სულისა, რომელიც ბრძოლასა და წვაში იბრძმდება და შეიმეცნება. მაგრამ ერთია თავისუფლებისათვის ვიწრო, სწორხაზოვანი თავგანწირვა, როდესაც

ადამიანმა, მხოლოდ ერთი ომი უნდა მოიგოს და მეორეა, როდესაც ჩვენი წინაპარი ამგვარი მისტერიით სულს უკრიალებდა და გამჭვირვალობას ჰმატებდა თანამომემს და ჭკურეტდა ამღლებულ განცდას, რათა გამოეკვება და აღეზარდა მის არსებაში ნათელისა და ბნელის გამყოფი ხაზები. მაგრამ საოცარია გონების თავისუფლებისადმი ლტოლვის ელვისებური აზროვნება, არადა რამდენია დღემდე ცოცხლად შემორჩენილი ამგვარი ფაქტი ქართველთა ცხოვრებაში, როდესაც განწირულებს ისღა დარჩენიათ, რომ ლამაზი სიკვდილით დაესრულებინათ დედამიწაზე არსებობა. საქართველოს მეფემ კონსტანტინე II-მ ჯერ უმწეო ქალები იხსნა სიკვდილისაგან და მერე მისი მეომრებით უდავოდ განწირულები, ლამაზი სიკვდილის ძებნაში გადაეშენენ. ასეთი სიკვდილის შვილები იყვნენ თევდორე მღვდელი, სამასი არაგველი, გიორგი XI და სხვები.


სილოცხლეს მაშინ აქვს აზრი, სანამ ადამიანი არ კარგავს თავისუფლები-სადმი შეგრძნების და მისდამი სწორი დამოკიდებულების უნარს და ეს არჩევანი უნდა მოხდეს ქრისტესა და ანტიქრისტეს შორის.

ქურნალში გამოყენებულია მასალე-ბი წიგნიდან „ქართული სულიერებასა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლები“

*ბ. აბსანძე, ს. თიუქლაშვილი,
თბ. 2006 წ.*



ო, გოდოლ-ბურჯნო, გალაენებო, ნაგებნო მკერივად,
 ნაბზარი რაა, თქვენი ყველა ნაკაწრიც მტკივა,
 შენ ჩემო ნიჭო, სიამაყევე ჩემო სინდისო,
 ჩემი წარსული მე უთქვენოდ ვერ შევითვისო.



დიდება შენდა ციხე-კოშკო, ზღუდე გუმბათო,
 ზეშთაგონების, წიგნის, ისრის ბუდეგ, უბადლოგ,
 გამისკდეს მიწა, თუ შეგებდალო, თუ გივერაგო,
 შენ საქართველოს ფარ-აბჯარო, ჯაჭვის პერანგო.

შრომის ნიშნობა

ლევან ჯიბია:

1924 წლის ანტისაბჭოთა

ეროვნული აჯანყება საქართველოში

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. 1921 წლიდანვე საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა დაიწყო. ქართული ეროვნული მოძრაობის მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. 1921 წელს დაწყებული ეროვნული მოძრაობა 1924 წელს შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ორგანიზება პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს. საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა. ამ პოლიტიკურმა პარტიებმა 1922 წლის აგვისტოში ინტერპარტიულ ორგანიზაციას „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ (დამკომი), იგივე „პარიტეტულ კომიტეტს“ საფუძველი ჩაუყარეს. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი (გოგოცია) ფაღავა, შემდეგ - ნიკოლოზ ქარცივაძე, ბოლოს - კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. მათ ჩამოაყალიბეს საფინანსო კომისია, წითელი ჯვრის კომისია, სარედაქციო კომისია და „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“. ამ კომისიებიდან ყველაზე მძლავრი - გაერთიანებული სამხედრო ცენტრი იყო. სამხედრო ცენტრი შეიქმნა საქართველოს ტანსაცმლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შეიარაღებული ჯგუფებისაგან 1922 წლის აგვისტო-სექტემბრისათვის.

საქართველოს საგანგებო კომისიამ და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ მოიპოვეს ინფორმაცია სამხედრო ცენტრის შესახებ, რის შემდეგაც სამხედრო ცენტრის თხუთმეტი ოფიცერი იქნა დაპატიმრებული, რომლებიც 1923 წლის 21 მაისს დილის 4 საათსა და 30 წუთზე თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, გიორგი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, ნიკოლოზ ზანდუკელი, სიმონ ბაგრატიონ-მუსხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე, სიმონ (ნასყიდა) ჭიაბრიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, ლევან კლიმიაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი. დახვრეტის წინ სიმონ ბაგრატიონ-მუსხრანელმა თანამებრძოლები შემდეგ



ქაქუცა

გი სიტყვებით გაამხნევა: „თქვენ ხომ იცით რატომაც ვკვდებით, მე მხოლოდ ის მადარდებს სამშობლოსთვის ვერაფერი რომ ვერ გავაკეთეთ, მაგრამ ჩვენს უკან რჩება ხალხი, რომელიც ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს და ჩვენც იმქვეყნად გავივებით, როცა საქართველო იქნება თავისუფალი. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ ჩეკისტები სიცოცხლეს შეჰპირდნენ სამხედრო ცენტრის წევრს, ილიას დასწვლს კონტე აფხაზს, თუკი ის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს აიღებდა. მაგრამ კ. აფხაზმა ჩეკისტების ნაჩუქარ სიცოცხლეზე უარი თქვა, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“ აღსანიშნავია, რომ თხუთმეტივე ქართველი ოფიცერი დახვრეტის წინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნს „დიდებას“ მღეროდა.

სამხედრო ცენტრის ჩავარდნის შემდეგ მისი ფუნქცია სამხედრო კომისიამ იკისრა. სამხედრო კომისიის მუშაობას პარიზიდან საგანგებოდ ჩამოსული სოციალ-დემოკრატი ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდა. სამხედრო კომისიაში მნიშვნელოვან ფუნქციას ცნობილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ასრულებდა. საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ, სამხედრო კომისიაში ეროვნულ-დემოკრატი გიორგი წინამძღვრიშვილი შევიდა, ხოლო ნოე ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ ის გოგიტა ფაღავამ შეცვალა. სამხედრო

კომისია რეგიონებში არსებულ დამკომის სამხედრო ორგანიზაციებს ეყრდნობოდა, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არსებობდა - სპეციალურ სამხედრო რწმუნებულებს. ეს რწმუნებულები იმ პირების აღრიცხვას ასორციელებდნენ, რომლებსაც აჯანყებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. ეს ისეთიანად კეთდებოდა, რომ ამის შესახებ ხშირ შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანილებამაც კი არ იცოდნენ. სამხედრო კომისია, მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, აჯანყების საკითხს დამკომში სვამდა, გადაწყვეტილებას კი დამკომის გაფართოებული სხდომა იღებდა. აჯანყების თარიღის განსაზღვრა აჯანყების წინ დანიშნული მთავარსარდლის და მისი შტაბის კომპეტენციას შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი „სამხედრო კომისიები“ ჰქონდათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიაში თავდაპირველად ვასილ ნოდია და გოგიტა ფაღავა შედიოდნენ, ხოლო შემდეგ - გიორგი ჯინორია და კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისიაში თავიდან შედიოდნენ დავით (დათა) ვაჩნაძე, ილიკო სიხარულიძე და სოლომონ ზაღდასტანიშვილი, ხოლო მოგვიანებით - სოლომონ ზაღდასტანიშვილი და გიორგი წინამძღვრიშვილი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის რაზმი 1923 წლის დასაწყისიდან დამკომის განკარგულებაში გადავიდა. აქედან მოყოლებული, დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ყოველთვიურად 200 ლირას უზღავნიდა. დამკომი ქაქუცასთან ურთიერთობას სამხედრო კომისიის მეშვეობით აწარმოებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზღვრული ჩრდილო კავკასიასთან და აზერბაიჯანთან დაკავშირება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა იყო. სომხებთან მოლაპარაკება ფაქტიურად არ წარმოებდა, რადგან მათ თავიდანვე უარი თქვეს აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაზე. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩრდილო კავკასიაში და აზერბაიჯანში განხორციელებული დაპატიმრებების შემდეგ იქ ანტისაბჭო-

ისტორიის ლაბირინთებში

ლევან ჰიბია:

1924 წლის ანტისაბჭოთა

პროვნილი აჯანყება საქართველოში

დასასრული

თა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. საქართველო იძულებული გახდა მარტო თავის ძალებზე დაყრდნობით ებრუნა შეიარაღებულ აჯანყებაზე.

დამკომის გადაწყვეტილებით, აჯანყება საქართველოში საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებას უნდა დამთხვეოდა. დამკომი უკვე მზად იყო საქართველოში აჯანყების დასაწყებად და ამიტომაც დამკომს აინტერესებდა საერთაშორისო მდგომარეობა იყო თუ არა ხელსაყრელი. ვ. ნოდიაშვილმა საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა პასუხი - საერთაშორისო სიტუაცია აჯანყების დასაწყებად ხელსაყრელი იყო.

1924 წლის ივლისის ბოლოს დამკომის და სამხედრო კომისიის გაფართოებულმა სხდომამ აჯანყების თარიღად 1924 წლის 17 აგვისტო დანიშნა. 1924 წლის 6 აგვისტოს სოციალ-დემოკრატიული კლასიკური ჯუღელი დააპატიმრეს, რამაც კიდევ ერთხელ განაპირობა აჯანყების თარიღის იძულებით გადაწევა. ამასთან საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მიმართა მასობრივ რეპრესიებს. მთავარსარდალ სპირიდონ ჭავჭავაძეს აჯანყების წარმატებაში ეჭვი შეეპარა, რის გამოც ეროვნულ-დემოკრატიის იასონ ჯავახიშვილმა დამკომში მისი გადაყენების და მის ნაცვლად ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნის წინადადება წამოაყენა. მაგრამ დამკომმა სპირიდონ ჭავჭავაძე მთავარსარდალად დატოვა. 1924 წლის 22 აგვისტოს დამკომის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი

და შალვა ამირეჯიბი. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აჯანყება საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. თბილისზე შეტევა პროვინციებში წარმატების მიღწევის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. თბილისში დარჩა სამხედრო კომისია, რომლის წინაშე შესასრულებლად შემდეგი ამოცანები იდგა: ვაზიანის სამხედრო ბაზის დაკავება, აეროპლანების ხელში ჩაგდება, ფოსტა-ტელეგრაფის დაკავება, ჯავშნოსანი ავტომობილებისა და ჯავშნოსანი მატარებლის ხელში ჩაგდება, საქართველოს საგანგებო კომისიის შენობის დაკავება, სამხედრო კურსანტებისა და საავიაციო რაზმის დაპატიმრება. დამკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკურმა პარტიებმა ადგილებზე თავიანთ ორგანიზაციებს შეატყობინეს. 1924 წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა (კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, სპირიდონ ჭავჭავაძემ და დავით ონიაშვილმა) აჯანყების თარიღად 1924 წლის 29 აგვისტოს დამის 2 საათი დანიშნეს. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დამოუკიდებლობის კომიტეტმა თბილისი 1924 წლის 27 აგვისტოს



დატოვა და შოი მღვიმის ტყეში გადავიდა.

ადმოსაკვლეთ საქართველოში 1924 წლის აჯანყებას ფაქტობრივად ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეღვა სათავეში. აჯანყებულებმა აჯანყებულმა პირობად შეასრულეს - თითქმის ყველგან ძაღვებსა და ხელში აიღეს. მაგრამ სამწუხაროდ მიღწეულის დიდხანს შენარჩუნება ვერ

მოხერხდა - საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორება დაიწყო. მთელი საქართველო სამძო სასაფლაოებით მოივინა.

1924 წლის 3 სექტემბერს შოი მღვიმის მონასტერთან დამკომის თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი და დამკომის მდივანი იასონ ჯავახიშვილი დააპატიმრა მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა (მეთაური ვ. არჯევანიძე). 4 სექტემბერს მათ მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს განცხადებას დამკომის დაშლის შესახებ. ამასობაში კი მთელ საქართველოში სისხლის გუბეები იდგა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სპეციალურად შექმნილი ე.წ. „სამეულები“ ყოველგვარი ძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ ოდნავ ეჭვმიტანილებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ერთი დოკუმენტი 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აგებული დღეებში დახვრეტილთა ციფრობრივ მონაცემებს შეიცავს. ამ დოკუმენტის მიხედვით თბილისში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრეტეს 230 ადამიანი, სიღნაღის მაზრაში - 60, თელავის მაზრაში - 30, სართიჭალის რაიონში - 49, ბორჩალოს მაზრაში - 19, დუშეთის მაზრაში - 7, გორის მაზრაში - 128, შორაპნის მაზრაში - 171, ქუთაისის მაზრაში - 90, ზუგდიდის მაზრაში - 40, სენაკის მაზრაში - 146, ოზურგეთის მაზრაში - 7, ცაგერის მაზრაში - 37, აფხაზეთში - 12, რაჭის მაზრაში - 4, აჭარაში - 25. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ციფრი არ ასახავს დახვრეტილთა ზუსტ რაოდენობას. მეორე დოკუმენტში 1047 დახვრეტილზეა საუბარი, მესამეში - 1714-ზე ა.შ. თვით დახვრეტას გადარჩენილი თუ ემიგრაციაში მყოფი ქართველები და უცხოელი მკვლელები დახვრეტილთა სხვადასხვა რაოდენობას ასახელებენ: 3000, 5000 და ა.შ.



ქაქუცა და მისი რაზმის წევრები

მს ჩვენი ისტორიაა დამოუკიდებელი საქართველოს ორი წელი გარე-ქახეთში (1918-1921 წწ.)

**ალექსანდრე ელერდაშვილი,
მწერალი და საზოგადო მოღვაწე,
ისტორიკოსი**



საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა და მან დაახლოებით ორწელიწადნახევარი იარსება. მისი მთავარი სულიწამდგამელი და ბელადი ნოე ჟორდანიას იყო. დამოუკიდებელი საქართველოს ასეთი ხანმოკლე არსებობა განპირობებული იყო იმ რთული და საბედისწერო პოლიტიკურ-ისტორიული პირობებით, რაც განაპირობა მაშინდელმა დრამატულმა საშინაო და საერთაშორისო ვითარებამ.

საქართველო თავისი ახლადმოპოვებული დამოუკიდებელი არსებობის პირველი დღეებიდანვე კვამლში გაეხვია. ბოლშევიკები, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიის მოთხოვნით ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის დაშლას, მოითხოვდნენ ერთიანი კომუნისტური რუსული სახელმწიფოს შექმნას და საქართველოს მოიაზრებდნენ ამ ერთიან, მრავალეროვნულ სახელმწიფოს ნაწილად. ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომუნისტები საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ახდენდნენ ინციდენტებს და ხელს უშლიდნენ ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს – ერთ მუშტად შეკრულებს ეშვებინათ ჭეშმარიტი ეროვნული, ქართული სახელმწიფო.

იმ დროს, როდესაც მთელ საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა და შფოთი ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შექმნისათვის, აფხაზეთში, შიდა ქართლში,

რაჭა-ლეჩხუმში, მესხეთ-ჯავახეთსა და სხვა რეგიონებში, გარე-ქახეთი, საგარეჯოს დღევანდელი სოფლები მშვიდად იყვნენ და გვერდში ედგნენ ნოე ჟორდანიას მთავრობას ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში.

მაშინდელი გარე-ქახეთი ადმინისტრაციულად შედიოდა თბილისის გუბერნიის, თბილისის მაზრის, თელავის მაზრის, თიანეთისა და სიღნაღის მაზრების შემადგენლობაში. უშუალოდ დღევანდელი საგარეჯოს რაიონის დიდი ნაწილი თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოს შემადგენლობაში შედიოდა ცენტრით სოფელ სართიჭალათი.

მაშინდელი გარე-ქახეთი ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო სასოფლო თემებად. თითოეულ სასოფლო თემს ჰყავდა თავისი თემსაბჭო.

საგარეჯო თავისი სოფლებით 1828 წლამდე შედიოდა თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოში, მაგრამ იმის გამო, რომ სართიჭალის საბოქაულო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, თბილისიდან დაწყებული ჩალაუბნის ხეობამდე, ამიტომ ეს საბოქაულო ორად გაყვეს: საგარეჯოს და სართიჭალას 1829 წლიდან მართავდა ორი ბოქაული (პრისტავი) ანუ პოლიციის მოხელე – ბოქაული. გარდა ამისა, დიდ სოფლებს მართავდნენ მამასახლისები, პატარა სოფლებს – ნაცვლები.

საქართველოში 1918 წლის 26 მაისიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ადმინისტრაციული მმართველობა კვლავ ისეთივე დარჩა, როგორც ცარიზმის ადმინისტრაციული მმართველობის დროს იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობა ისე მოკლე დროს – ორ წელზე ცოტა მეტ ხანს არსებობდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო დიდი მასშტაბის რეფორმების განხორციელება. ამიტომ იყო, რომ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში დიდი ძვრები არ მომხდარა, არც სახალხო მეურნეობის განვითარებაში შეინიშნებოდა დიდი გარდატეხა.

მთელ გარე-ქახეთში ფუნქციონირებდა ორი სახალხო თეატრი – საგარეჯოსა და ხაშში. რაც შეეხება სახალხო განათლებას, გარე-ქახეთში ფუნქციონირებდა II დაწვებითი ტიპის სკოლა და ორი, ასევე, დაწვებითი ტიპის სასულიერო სასწავლებელი.

დაწვებითი ტიპის სკოლები ფუნქციონირებდა სოფლებში: კაკაბეთში, მანავში, გიორგიშინდაში, საგარეჯოში, პატარძელში, ხაშში, სართიჭალაში,

უჯარმაში, მარტყოფში, გომბორსა და ნინოწმინდაში.

სასულიერო სკოლები არსებობდა დავით გარეჯის დავითის ლავრასა და მარტყოფში.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში მთელ გარე-ქახეთში არსებობდა ერთი საექმო პუნქტი და ერთი აფთიაქი, სადაც ერთი ექიმი, ერთი ფერშალი და ერთიც პროვიზორი ემსახურებოდა აღნიშნულ სოფლებს, რაც მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას ჯანდაცვის საქმეში. მით უმეტეს, რომ მაშინდელ გარე-ქახეთის სოფლებში მკვინვარებდა ტროპიკული მალარია, ტიფი და სხვა დაავადებები. მაგალითად, 1918 წლის გაზაფხულზე გარე-ქახეთში გავრცელებულმა ტიფის ეპიდემიამ ასეულობით მოქალაქე იმსხვერპლა.

1918-1921 წლებში გარე-ქახეთში ვერც სოფლის მეურნეობა და მრეწველობა გამოიჩინა თავისი სამეურნეო შედეგებით. სოფლის მეურნეობა დამყარებული იყო დაბალ ტექნიკურ, წვრილგლეხურ, დაბალრენტაბელურ, კარჩაკეტილ, ნატურალური შინაარსის წარმოებაზე.

სოფლის მეურნეობაში საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი დროშოტყეულ, ფეოდალურ, სამონასტრო-საეკლესიო მიწათსარგებლობის ფორმებს. 1918-1921 წლებში დავით გარეჯის წმინდა დოდოს და იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრები საგარეჯოში, ხაშში და მანავში ფლობდნენ ვენახის დიდ ზერებს, წისქვილებს და წარმოების სხვა საშუალებებს, მაგამათი მეთოდიც მიწისმფლობელობისა იყო ფეოდალური და ნახევრადფეოდალური, რაც მეურნეობრივი წარმატების არავითარ სტიმულს არ იძლეოდა. იგივე ითქმის ცნობილი ფეოდალების: ანდრონიკაშვილების, ჩერქეშიშვილების, მაყაშვილების, ჩოლოყაშვილების მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ტრადიციულ ფეოდალურ ფორმებზე, რომლებიც თავის მიწებს მხოლოდ იჯარით ასხვისებდნენ, როგორც ქართველებზე, ისე ეთნიკურად არაქართველებზე.

რაც შეეხება ადგილობრივ მრეწველობას, გარე-ქახეთში – უჯარმაში გლაუბერის მარილის მწარმოებელი ქარხანა ჰქონდა მოსკოველ, რუს მეწარმეს ბახმეტიევს, რომელიც უჯარმაში ადგილობრივ ნედლეულზე აწარმოებდა მინის წარმოებისათვის საუკეთესო კომპონენტს – გლაუბერის მარილს.

უს ჩვენი ისტორიაა

დამოუკიდებელი საქართველოს ორი წელი გარე-ქახეთში (1918-1921 წწ.)

დასასრული

კაპიტალისტური წარმოება წამოიწყო ბადიურში მემამულე მალხაზ ანდრონიკაშვილმა. მან მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროზე ააგო 150 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური, რის ბაზაზეც ააშენა თანამედროვე ელექტროწისქვილი. ასევე ხაშმზე ინჟინერმა არჩილ ბილანიშვილმა „ცივანაანთ ბაღში“ ააშენა 130 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური, ხოლო მის ბაზაზე ელექტროწისქვილი. მაგრამ ყოველივე ეს ზღვაში წვეთი იყო, შესაძლებლობები კი ბევრი.

გარე-ქახეთში არსებობდა მრავალი წვრილი - აგურის, კრამიტის, ქვევრებისა და საყოფაცხოვრებო ჭურჭლის მწარმოებელი წვრილი საწარმო ქარხნები, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, გიორგიწმინდასა და კაკაბეთში.

1918-1921 წლებში საქართველოში

შექმნილმა დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მცირე ხანს, ორწელიწადნახევარს იარსება, მაგრამ 1921 წლის თებერვლის თვეში საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ იარაღის ძალით დაამხო ახლადშექმნილი ქართული დამოუკიდებელი ხელისუფლება და საქართველო კვლავ შეიერთა. ქართველმა საზოგადოებამ და მისმა მოწინავე ნაწილმა დიდი მსხვერპლი გაიღო მისი შენარჩუნებისათვის. მათ შორის იყვნენ საგარეჯოელი, ნინოწმინდაელი, პატარძეული, გიორგიწმინდაელი პატრიოტებიც, მაგრამ ნათქვამია: „ძალა აღმართს ხნავსო“. საქართველო 70 წლის განმავლობაში კვლავ „თავისუფალი ერთა მძლე კავშირის“ მარწუხებში მოექცა.

საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ათასობით ქართველი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის არიან გარე-ქახელი გულდამწვარი პატრიოტებიც, რომელთა სახელებიც მოწამებობრივ - სიკვდილშიც კი

დევნილები იყვნენ. ისინი უსახელოდ განისვენებენ სისხლით მორწყულ ქართულ მიწაში. ესენი იყვნენ საგარეჯოელი: გარსიაშვილები, ლაფანიშვილები, მჭედლიშვილები, გილაშვილები, გიორგიწმინდაელი: გულისაშვილები, ჭიბურაშვილები, ბურჯანაძეები, ნინოწმინდაელი: შიოშვილები, როსტომაშვილები, პატარძეული: ყუშიტაშვილები, ელერდაშვილები, ჯილაურები, ხაშმელი: ნახუცრიშვილები, იმედაშვილები, ჭიბურიშვილები, ნიკოლაშვილები, სართიჭალელი: მათიაშვილები, გენგაშვილები, სობოშვილები, მარტყოფელი: მათიაშვილები, შინჯიკაშვილები, მანაველი: დუნიძეები, მათიაშვილები, უამრავი გარე-ქახელი - სხვანი და სხვანი, რომელთა სულები მარადიული საქართველოდან ღოცულობენ საქართველოს აღორძინებისათვის, რათა საქართველოს სახელი არ გაქრეს მსოფლიოს ხალხთა პანთეონიდან.

1811-1812 წლებში ბარაკანებში

მიწეში დამოუკიდებლობის დაკარგვისა - ქართველების ღალატი

1811 წლის 30 ივნისს ბაბასი შევიდა რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილება, რომელითაც საქართველოში გაუქმდა ეკლესიის დამოუკიდებლობა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა წმინდა სინოდის განყოფილება - დიკასტერია. მის მეთაურად მიტროპოლიტი ვარლამი ერისთავი დაინიშნა და ებოძა საქართველოს ვეზაქსისის ტიტული. კათალიკოსი ანტონი 1810 წლის 3 მარტს პეტერბურგში ბაბით გაიწვიეს. 1809-1816 წლებში საქართველოში შავი ჭიჩი მიჰინვაკრებდა. 1811 წ. მოუსაგლიანობა.

კახეთის ოლქის უფროსი გენერალი პორტიაგინი, მთავარმართებელი პაულინი, რტიშვილი, უშაკოვი, სიმონოვინი იყვნენ.

1812 წლის 31 იანვრიდან რუსების წინააღმდეგ აჯანყდა კახეთი. აჯანყებისას მოკლეს სვიმონ მებურთიშვილი და ოთარ ინანიშვილი - ფარაბაჯის ციხეზე იერიშისას. მანავსა და კაკაბეთში დაბანაკებული რუსები გაწვეტივს, თებერვლის შუა რიცხვებში გატე და შიდა კახეთი რუსებისაგან გაწმინდეს. ქართველებს უღალატეს კონსტანტინე მუხრან ბატონმა, გაბრიელ ფაზუგმა, თორნიკე ერისთავმა. მუხრანბატონი გვერდში ედგა უშაკოს. შეტაკება 19 თებერვალს ხაშმთანაც მომხდარა. მთავარმართებელი მარკიზი ფილიპე პაულინი 1500 ქვეითითა და აქტილგითი, ფაზახთა პოლკითა და ქართველ თავადზნაურთაგან შემდგარი რაზმით ხაშმს შეესია. მოსკა აგენის ბავშვებიც კი, ხიშტზე აუგიათ მეფე ერეკლეს დეიდაშვილი, 90 წლის მარამი აბაშიძე. ჩუმლაფთან ბრძოლაში ამბოხებულებს მოუკლავთ ერეკლეს სიძე - ვახტანგ ორბელიანი, თავადი ალ. ჭავჭავაძე

ფეხში დაჭრეს. ერეკლე მეფის კარის მოძველები - აჩქიმანდრიტი ელფეთერ ზუკაკიშვილი ცნობებს აწვილიდა კახელების შეიარაღებაზე მარკიზ ფილიპე პაულინს. პაულინის შემდგომ პარტიშვიე დაინიშნეს. მაისის ბოლოს კახეთი დაცხრა. ენისელის მოურავი ჯოჯაძე მთავრობას შეუერთდა.

1812 წლის 1 სექტემბერს აღექსანდრე ბატონიშვილი კახეთში განაგებოს ამბოხს. დიმიტრი ორბელიანმა დააბოი სოფლები.

კახელი თავადები პარტიშვიეს მიშგვარა, რომელიც გააციმიბიქეს. ორბელიანს ქიხივის მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი და ნინია ვახსტიშვილი სოფლების დაბეგვაში ეხმარებოდნენ. აჩქიმანდრიტმა ზუკაკიშვილმა სოფლის მღვდელ-დიაკონები შეიპყრო, საკუთარი ხელით სცემა და თბილისში ვეზაქსის ვარლამს მიშგვარა.



შიქრები საქართველოს დამოუკიდებლობაზე

თვითგადარჩენის ინსტიქტით

26 მაისი დიდხანს გვახსენებდა დამოუკიდებლობის სურვილს



მე არ მეგულება არც ერთი ერი, რომელსაც საქართველოს მსგავსი ისტორია ჰქონდეს, უამრავი ბრძოლა გადაეხადოს და ისევე ცოცხლობდეს. ტრაგიკულმა ისტორიამ და დაუსრულებელმა ბრძოლებმა ქართველ ხალხში წარმოშვა თვითგადარჩენის ინსტიქტი ამაღლებული პატრიოტიზმის სახით. ამიტომაცაა, რომ ვერც ერთმა

დამპყრობელმა ვერ მოახერხა საქართველოს გატეხვა. ისინი ფიზიკურად ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის დაჩოქებას, მაგრამ იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რომ ჩვენი ნამდვილი ძალა ქართული მენტალიტეტი იყო! XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რუსული გავლენა გაძლიერდა. ეს ახალი სტილის დამპყრობელი ქართველი ერისთვის „გცნობი იარაღით იბრძოდა. სტუმრად მოსულეებმა ჩვენი „გარუსება“ და ჩაყლაპვა მოინდომეს. ეს ასეც მოხდებოდა, რომ არა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთელის მსგავსი მამულიშვილები.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსულ კლანჭებში იყო მოქცეული. ქვეყანაში რუსული გარნიზონი იდგა და რუსული კანონები მოქმედებდა, მაგრამ ხალხს მაინც არ შორდებოდა თავისუფლებაზე ფიქრი და აი, 1918 წლის 26 მაისს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოდან გაიყვანა ჯარი, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქვეყნის სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა ნოე ჟორდანიას მეთაურობით და ჩვენი ქვეყანა რუსეთის გუბერნიიდან – დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. ევროპის მრავალმა ქვეყანამ აღიარა საქართველოს სუვერენიტეტი,

„მაგრამ, ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს... მტრისას მისი გამოცანა!“

საქართველოს გარშემო მტერი, საბჭოთა კავშირის სახით, კვლავ ძალას იკრებდა. მიუხედავად 7 მაისის ხელშეკრულებისა, რომელიც თავდაუსხმელობას ითვალისწინებდა, 1921 წლის თებერვალში წითლები საქართველოს სამი მხრიდან შემოესივნენ. ქართულმა მოუშზადებელმა არმიამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოელებს - მრავალჯერ უკუაქცია. საბოლოოდ, მაინც დამარცხდა უთანასწორო ომში... 1921 წლის 21 თებერვალს კი საბჭოთა XI წითელმა არმიამ თბილისი აიღო...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გმირ წინაპართა სისხლი, ცხაღია, უშედეგო და არ დაღვრილა! ჩვენს ცნობიერებაში მუდამ იქნება მათი საქციელის ნათელი მაგალითი!

ნატო ონაშვილი,
საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე

უძველესი დროიდან ქართველთა მოდგმა – ძენი თარგამოსისანი – მთელი ძალისხმევით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისათვის... საუკუნეების მანძილზე ჩვენ მრავალჯერ მივალწიეთ საწაღელ მიზანს, მაგრამ „თავადი წუთისოფლისაი“ არ ცხრებოდა...



დაუნდობლად ებრძოდა ღვთისმშობლის წილხვედრს! მოგესხენებათ, XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილო მეზობლის იმპერიალისტური ხლართებისგან დაუძღურებული საქართველო მაინც ისწრაფოდა დამოუკიდებლობისკენ. ეს სწრაფვა იმდენად თავგანწირული და ქმედითი იყო, რომ ღირსეულად მოიმკო საკადრისი შედეგი – 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

თითქმის ჩამქრალი საქართველო ძალას იკრებდა... მაგრამ 1921-ში „წითელი დროშით, მოღვრილ ყელით...“ შემოდიოდა სიკვდილი ცვლით! შემდეგ იყო სისხლისღვრა და 1924 წლის მოუშეშებელი ჭრილობა, სადაც ქართველი პატრიოტები გმირულად დაეცნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი გათავისუფლების ძიებას შეეწირნენ! იყო 1937 წელიც, თავისი ამაზრზენი სისატიკით... ამ სისხლიმსმელმა წელმა შეიწირა მრავალი ღირსეული შვილი ჩვენი ბედარული ქვეყნისა - 12000-ზე მეტი ქართველი! თავაშეებული დრო გადიოდა... ათწლეულები მიიღია, აკარგვანი ათწლეულები. საქართველო მდორედ მიიკვლევდა ისტორიის საფეხურებს. ეს იყო 1990 წლამდე. ამ დროს კვლავ გაიბრწყინა დამოუკიდებლობის იდეამ, ნათლად აღორძინდა 26 მაისის პატრიოტული განწყობა და აზროვნება! ქართველობაში გამოიღვიძა წლების მანძილზე ჩამკვდარმა ხსოვნამ! გორგასლის, დავითის, ილიას ცხოველმა ხსოვნამ! გამოფხიზლდა ჩვენი ერი, აიღო „ჯვარი თვისი“, ღვთისმშობლის ღოცვით, წმინდა გიორგის თანადგომით კიდევ ერთხელ მიაღწია დამოუკიდებლობას! მსხვერპლიც შეიწირა... სისხლიც „დაითხია“, 9 აპრილის სისხლი.

მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ენით გამოუთქმელი ტანჯვა-წამებისა, დღეს ჩვენ დამოუკიდებლები ვართ! თუმცა გულზე ხელების დაწყოა ახლა ყველაზე ნაკლებად გემართებს! ახლა ათასწილ მეტი მონღოებით უნდა გავითავისოთ, რომ „მოქმედება და მხოლოდ მოქმედებაა ერის ძალისა და ღონის მომცემი“!

გიორგი კეტილაშვილი,
საგარეჯოს II საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

ღეღეს ენა

- ა - იგუთ ვსე ანანნი
- ბ - ულათულის სეკენის მისეკლას,
- გ - თუქრასძეილის ვალასძი
- დ - ევს ღელას-ენის მთასეკლას.
- ე - ზემს სანთელი აანთანს,
- ვ - ისეც თაჟინი ელიჩისა,
- ზ - ევასძი ღძეჩეთთან ლასანთანს
- თ - აჟინეჟულქრას ენისა.
- ი - სრესელეთ ენა მესეთელი,
- კ - ელასე სელადქრასელ ეჩისა,
- ლ - აძასელ მსძილმესეთელი,
- მ - თუქრასე თჟინი ძეჟეჩისა.
- ნ - უ ლაჟინეჟქრასთ რესეთელძი
- ო - ძეჟს მესეთელი მძელქრასსა,
- პ - იჩეჟელანი აძესეჟინღქრასღინენ
- ჟ - აძს ნიჟქრასეთელით ენისა.
- რ - ა რესძეჟთასც კჟასრესძინ,
- ს - იჟქრას ვთმესათ მჟენი მჟეჟქრასსა,
- ტ - აჩიელისა ვეჟინისა,
- უ - ველასჟი რესთასეკლასსა.
- ფ - აჩინასჟაძი ძეჟეჟ ნიძიას
- ყ - აჩეთულის ცჟაძილი ძეჟეჩისა,
- ღ - ძეჟეთძა აჟუჩეთსის ძისა
- ჩ - თულისა მჟენი ენისა.
- ც - ეჟასუნთთ ღჟინის სესძინი,
- ძ - აძინასთლელი სეკლასსა,
- წ - აძინს ნიძელქრასთ ვასლილთთ
- ძ - იჩი მესეთელი ენისა.
- წ - აძიასც ზით ვასჟინიჟეძელეს
- ჭ - ეჟს მესეთულის მძეჟინსა,
- ჭ - ელით ძიჟინელასთ ნიჟსთჟსელეთ
- ჭ - ვასეთან, რძინღლას აჟეჟეთისა.



აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევას ჯვარითა ბარბაროს-
თა ზედა ღვთიგდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა
ვიტყოდეთ, – უფალო, დიდება შენდა.